



## მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №6

18 იანვარი 2018 წ.

ქ. მარნეული

### მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ №2/3 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 210020010.35.159.016024; 08/02/2011 წ) და მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### „მუხლი 6. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი განისაზღვროს განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს მოსაკრებელი განისაზღვროს სამშენებლო ტერიტორიის ტრანშეის (არხის) ერთ კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის ერთ გრძივ მეტრზე 0,30 (ოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოები და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია, ასევე კანონით ან კანონქვემდებარე აქტით მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლებული დაინტერესებული სუბიექტი.“.

#### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე